ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

3015618
12/15149921-25
22.06.2015

რამინი გალიევი (31001010437),
ჯავახეთის ქ.68 I სადარბაზო. სართ.4 ბ.54

თქვენი 17.06.2015 წლის (#12/15149921-25) განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ვინაიდან ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები #1902550 მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად, 2014 წლის 30 აპრილის საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად სამსახური თანახმაა შპს ,,იეს-მუს"ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ვარკეთილი 3, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა საკ/კოდ 01.19.20.002.073) მოიჭრას ერთი ძირი ალვის ხე დიამეტრით 30სმ.

მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (ტელ: 595 30 40 34).

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და
გამწვანების საქალაქო სამსახური
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საქალაქო სამსახურის უფროსი

ბიძინა გიორგობიანი

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
04.06.2015	04.06.2015

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს "იეს-მუს" 200269137
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1314671
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1314671

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ვარკეთილი, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩა, #01.19.20.002.073 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის, ფილაქნით მოპირკეთების, მისასვლელი ბილიკების მოწყობის და გამწვანების მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, №2 დანართით განსაზღვრული ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პირობების შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, საკითხის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით.
2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება



გამოსაყენებელი ტერიტორია. ფართობი: 232 კვ.მ.

დანართი №2

1. სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით ქვეითად მოსიარულეთა ბილიკზე ეტაპობრივად, სამუშაოს წარმოების ადგილი აღიჭურვოს ყვითელი მოციმციმე შუქურათი, შემოიფარგლოს დამცავი ჯებირებით და განთავსდეს საგზაო ნიშნები: 1.23 – „საგზაო სამუშაოები“ დაცული იქნას ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.
2. სამუშაოების დაწყება წინასწარ ეცნობოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 2418504; 2418505)
3. სამუშაოები განხორციელდეს თანხმობის გაცემიდან 1 (ერთ) თვეში;